„ყური დაუგდეთ, ასპინძის ადგილის დედა ჩურჩულობს...”

ლევან ასათიანი

ასპინძის სიახლენი

ასპინძის მუნიციპალიტეტი * აგვისტო. 2021 * (6)73

გილოცავთ დიდგორის ბრძოლის 900 წლის იუბილეს!

დიდგორის ბრძოლა ანუ ძლევა საკვირველი

(1121 წლის 12 აგვისტო)

ჩამოუბნელდა საქართველოს დიდების მზენი,
ვიდრე სულთნებმა ააოხრეს მამული ტურფა,
ღალატის სუნით გაჟღენთილა მიწაზე ქვებიც,
მეფე ქართველთა ღირსებისთვის ომის
გზას უდგას!
იდგა დავითი ორ მთას შუა დაბურულ ტყეში,
თვით საუკუნეც იკავებდა შიშისგან სუნთქვას,
ჩამოურიგდა დიდგორის ველს ურიცხვი მტერი
და ბრძანა მეფემ – ჩაეხერგათ ყველა გზა უკან!
ბრძოლის ყიჟინამ მიწა შეძრა ნანატრი ქვეყნის,
მტკიცე ლაშქარი, აწყვეტილი დაეშვა მთიდან,
ოსი, ყივჩაღი, ხმალს იქნევდა დამქაშთა გვერდით
და ღვთის წყალობამ დაიქუხა მაღალი ციდან!
ათასწლეული ვერ დაფარავს, ვერც
სიტყვა ვრცელი,
ენამ ვერა თქვა დიდებული მეფობის ხილვა,
ეს იყო „ძლევა საკვირველი“ ქართველი ერის!
და გამარჯვება საქართველოს სიმრთელედ იქცა!

ნინო ხორავა

დამალას თანამედროვე დონის კულტურის ცენტრი აქვს

სამცხე-ჯავახეთის მხარის რწმუნებულმა ბესიკ ამირანაშვილმა, ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად სოფელ დამალაში ახლად რეაბილიტირებული კულტურის ცენტრის შენობა გახსნეს.

როგორც ცნობილია, დამალა ერთ-ერთი მჭიდროდ დასახლებული სოფელია, რომელსაც დიდი ხნის ტრადიციები აქვს. სოფლის ცენტრში არსებული კულტურის სახლი წარმოადგენდა მოსახლეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დასვენების, გართობისა და კულტურული ღონისძიებების ჩატარების შესანიშნავ კერას. აქ ხშირად იმართებოდა კონცერტები, მასობრივი ღონისძიებები, გააქტიურებული იყო სექციური და წრეობრივი მუშაობა, იმართებოდა სოფლის მოსახლეობის თავყრილობები. კლუბთან ჩამოყალიბებული იყო მუსიკალური და ქორეოგრაფიული ანსამბლები, რომლებიც წარმატებით გამოდიოდნენ რაიონულ ღონისძიებებში. ამ ტრადიციების მქონე სოფელმა მუნიციპალიტეტში ერთ-ერთმა შეინარჩუნა საკლუბო მუშაობის ტრადიცია, თუმცა შენობის ავარიულობის გამო ერთხანს ამ მიმართებით შეწყვეტილი იყო მისი ფუნქციონირება.

იმის გამო, რომ სოფელს კულტურული განვითარების მეტი შესაძლებლობა ჰქონდეს, მუნიციპალიტეტის მერიამ ყველა შესაძლო ღონისძიება განახორციელა და მიაღწია იმას, რომ ეს ხარვეზი აღმოფხვრილიყო და წლის დასაწყისიდანვე დაიწყო მისი სარეაბილიტაციო სამუშაოები. პროექტის ფარგლებში სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა შენობას: მოეწყო მეთლახის და ხის იატაკი, კარ-ფანჯრები, შეკიდული ამსტრონგის ჭერი, ბეტონის სარინელი და ბაზალტის ბორდიურები, გაილესა და შეიღება შიდა ოთახები, დამონტაჟდა თეატრალური სკამები. აღნიშნული პროექტის სახელმწიფო ღირებულება შეადგენდა 224 777 ლარს.

პროექტის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე დასაქმებული იყო 15-მდე ადგილობრივი მცხოვრები.

წარმატება მიულოცეს

სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ საქართველოს მასშტაბით, გამართულ კონკურსში ,,საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი” საპატიო წოდება ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიზაბავრის საჯარო სკოლის პედაგოგს **ლიანა მურადაშვილს** მიენიჭა.

ასპინძის მუნიციპალიტეტის მერი როსტომ მაგრაქველიძე, მერის მოადგილე ლევან ბერიძე და ასპინძის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი ტრისტან მურადაშვილი სოფელ ხიზაბავრის საჯარო სკოლას ესტუმრნენ და ლიანა მურადაშვილს ,,დამსახურებული მასწავლებლის” სიგელი გადასცეს.

შეხვედრაზე ხელმძღვანელმა პირებმა ლიანა მურადაშვილს მიულოცეს მიღწეული წარმატება და მადლობა გადაუხადეს სასწავლო პროცესში მისი სწავლის მეთოდის და საქმისადმი პროფესიული დამოკიდებულებისათვის.

მუნიციპლიტეტის საკრებულოში

მიმდინარე წლის 23 ივლისს გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა.

საკრებულოს სხდომის ფარგლებში დეპუტატებმა განიხილეს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები:

1. ,,ასპინძის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ” ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

2. ასპინძის მუნიციპალიტეტის მერისთვის გარიგების დადებაზე თანხმობის მიცემის თაობაზე;

3. ასპინძის მუნიციპალიტეტის მერისთვის გარიგების დადებაზე თანხმობის მიცემის თაობაზე;

4. ასპინძის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, საკადასტრო მონაცემების დაკორექტირებაზე ასპინძის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე;

5. თანხმობა ასპინძის მუნიციპალიტეტის მიერ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ძიუდოს კლუბის, მხარეში შემავალ მუნიციპალიტეტებთან (ადიგენი, ახალციხე, ახალქალაქი, ბორჯომი, ნინოწმინდა) ერთად დაფუძნების შესახებ;

6. ასპინძის მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად განსახორციელებელი 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

დეპუტატებმა წარმოდგენილი საკითხები ხმათა უმრავლესობით დაამტკიცეს.

საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო, ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ანა ტივაძემ დეპუტატებს მიაწოდა ინფორმაცია:

1. ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვებზე გაფორმებული ხელშეკრულებების თაობაზე, რის შემდეგაც საკრებულოს თავმჯდომარემ მამუკა მელიქიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

მაკა ბერიძე

ასპინძელებიც აქტიურად არიან ჩართულები

მიმდინარე წლის 28 ივნისიდან ასპინძის მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით და „ICSU დამოუკიდებელ ბავშვთა და სტუდენტთა გაერთიანების" ორგანიზებით დაიწყო პროექტი „ქართული კულტურის დღეები მესტია – 2021".

აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობას ღებულობენ ასპინძის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდები. პროექტის ფარგლებში მუნიცილალიტეტიდან მონაწილე ახალგაზრდები, რომლებიც არიან ახალგაზრდული პარლამენტის წევრები, დაესწრნენ პარლამენტის კომიტეტების გასვლით სხდომას. ასევე, აქტიურად არიან ჩართულები სხვადასხვა კულტურულ და საგანმანათლებლო ღონისძიებებში.

მილოცვა

გაზეთ „ასპინძის სიახლენის" კოლეგია ულოცავს ხიზაბავრის საჯარო სკოლის პედაგოგს ქალბატონ ლიანა მურადაშვილს საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის წოდების მინიჭებას და უსურვებს ახალ-ახალ წარმატებებს მომავალი თაობის აღზრდის საქმეში.

საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი



ლიანა მურადაშვილი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა დააჯილდოვა სიგელით – „საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი".

ლიანა 1991 წლიდან ასწავლის მშობლიურ სოფელ ხიზაბავრის საჯარო სკოლაში გეოგრაფიასა და სამოქალაქო განათლებას და ერთ-ერთი გამორჩეული და წარმატებული მასწავლებელია, რომელიც მუდამ სიახლეების ძიებაშია, ზრუნავს საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე და აქტიურადაა ჩართული სასკოლო ცხოვრებაში. 2015 წელს მასწავლებელთა სასერთიფიკაციო გამოცდების შედეგად მიენიჭა გეოგრაფიის უფროსი მასწავლებლის სტატუსი, 2016 წელს სასერთიფიკაციო გამოცდა ჩააბარა სამოქალაქო განათლებაშიც და, შესაბამისად, ორ საგანშია სერთიფიცირებული.

აღსანიშნავია მისი მონაწილეობა სხვადასხვა პროექტებში, – თავისუფალი გაკვეთილების ფარგლებში მის მიერ განხორციელებულმა პროექტმა კიდევ ერთი წარმატება მოუტანა სკოლას. პასუხისმგებელია პროექტზე „ეტალონი", რომელშიც ხიზაბავრის საჯარო სკოლის მოსწავლეები ყოველთვის წარმატებებს აღწევენ. 2020–2021 სასწავლო წელს სკოლა ჩართული იყო „ახალი სკოლის მოდელის" პროექტში და ლიანამ იანვარში მონაწილეობა მიიღო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებულ 2020 წლის შემაჯამებელ ფორუმზე, წარმატებული პრეზენტაციით კომპლექსურ დავალებაზე – „ტერასული მევენახეობა სოფელ ხიზაბავრაში".

ტრისტან მურადაშვილი,
ასპინძის საგანმანათლებლო
რესურსცენტრის უფროსი

მიმდინარეობს საყრდენი კედლების რეაბილიტაცია

უკანასკნელ პერიოდში ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით, მნიშვნელოვნად გააქტიურდა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების ტემპი. ეს იგრძნობა, როგორ დაბაში, ასევე მთელი მუნიციპალიტეტის მასშტაბით.. ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ პროექტები ხორციელდება არა მარტო ცენტრალურ ადგილებში, არამედ ჩიხებსა და ნაკლებად მნიშვნელოვან ადგილებშიც, რათა მოსახლეობამ კომფორტულად მოიწყოს თავისი საცხოვრებელი პირობები. ამ მიზნით უკვე დასრულდა ე.წ. ძველი აბანოს მიმდებარედ საყრდენი კედლის მოწყობა, რომლის რეაბილიტაცია მოსახლეობის ინტერესში შედიოდა და სოფელ ოშორაში გზის დამცავი საყრდენი კედლების მოწყობა, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 81 320 ლარია და მშენებლობას აწარმოებს. ტენდერში გამარჯვებული კომპანია „ქილდა 2015".

გაიხსნა მინი სტადიონი

მუნიციპალიტეტის მოსახლეობა კარგადაა ინფორმირებული იმის თაობაზე, რომ რამდენიმე წელია დაიწყო და ინტენსიურად მიმდინარეობს სოფლებში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, პირველ რიგში გათვალისწინებულია მოსახლეობის ინტერესები, სოფლისათვის საჭირო პრობლემები, რათა მოსახლეობამ იგრძნოს ხელისუფლების მხარდაჭერა და ზრუნვა, რომ ისინიც საჭიროებენ უკეთესი ცხოვრების პირობების შექმნას და მისი განხორციელებით ხელი შეეწყობა სოფლად ახალგაზრდობის დამაგრებას და დემოგრაფიული პრობლემების მოგვარებას, რამეთუ, მოსახლეობის შემცირების დიდი საშიშროების წინაშე დგას ისედაც მცირერიცხოვანი მუნიციპალიტეტი.

ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ ადგილობრივ თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად სოფელ ნაქალაქევში მინი სტადიონი გახსნა. აღნიშნული პროექტი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობის მიერ იყო შერჩეული.

სოფელში პროექტის ფარგლებში მოეწყო ღია თანამედროვე სპორტული მოედანი, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას.

მშენებლობის პროცესს ადგილზე გაეცნენ



თანამედროვე ცხოვრებაში თითქმის ყველგან დიდი პრობლემებია მოსახლეობის ხარისხიანი სასმელი წყლით უზრუნველყოფის საქმეში. ამ მხრივ არც სოფელი ტოლოშია გამონაკლისი. მიუხედავად იმისა, რომ 30 წლის წინ სოფლის წყალსადენი შეიცვალა, დროთა განმავლობაში მან ამორტიზაცია განიცადა დღის წესრიგში აუცილებელი გახდა მისი განახლება, რის გამოც მუნიციპალიტეტის მერიამ თავის კომპედენციის ფარგლებში მიაღწია იმას, რომ სოფლის სასმელი წყლით საკითხი დადებითად გადაეწყვიტა. ამჟამად მშენებლობა აქტიურ ფაზაში შევიდა და მალე სოფელი ხარისხიანი სასმელი წყლით იქნება უზრუნველყოფილი. მშენებლობის პროცესს ყურადღებას არ აკლებენ მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ორგანოების წარმომადგენლები.

ამ დღეებში სამშენებლო სამუშაოებს ასპინძის მუნიციპალიტეტის მერი როსტომ მაგრაქველიძე, მერის პირველი მოადგილე დავით პაპაშვილი, მოადგილე ლევან ბერიძე და მერიის სხვა წარმომადგენლები ადგილზე გაეცნენ.

სამუშაოებს სს „ერისიმედი" აწარმოებს და მშენებლობა განსაზღვრულ ვადაში დამთავრდება.

ქვეყნის განვითარება გამართული და დაცული ბიზნესზე დგას!

30 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც სოციალისტური სისტემა ისტორიის საკუთრება გახდა. იმათ, ვინც ცხოვრებას ფეხი აუწყო და ახლებური ცხოვრების ყაიდაზე გადავიდა, ბევრ წარმატებასაც მიაღწია. ასპინძის სინამდვილეს თუ თვალს გადავავლებთ, არც თუ ისე ცოტანი არიან ისინი და მათი აწყობილი ბიზნესი სასიკეთოდ ადგება ადგილობრივ მოსახლეობას, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს. მათი გამოცდილების გაზიარების მიზნით გადავწყვიტეთ სისტემატურად დავუთმოთ ადგილი მათ. დღევანდელი ჩვენი ნომრის სტუმარია თითოეული ასპინძელისათვის კარგად ცნობილი ბიზნესმენი, შპს „ძველის“ მფლობელი, გიორგი ზედგინიძე. რომელმაც ამ ხნის განმავლობაში დიდი გამოცდილება დააგროვა და, ალბათ, მისი საქმიანობა მისაბაძი იქნება ყველა დამწყები ბიზნესმენებისთვის.

უმჯობესია თავად მას მოვუსმენთ:

საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესში, გავაცნობიერე, რომ ქვეყანაში იწყებოდა ცვლილებების ეპოქა და კაპიტალისტური მომავლის შენება, რის გამოც დავიწყე მზადება ახალი ცხოვრების წესისით ცხოვრებისათვის და ფიქრი ბიზნესმენობაზე. იდეებიდან შევარჩიე ის, რომელიც დღეს ჩემი საქმიანობის მთავარი ობიექტია – 25 წელია ვმართავ შპს „ძველის“ სუპერმარკეტს და მის გარეშე ცხოვრება ვეღარ წარმომიდგენია. თამამად ვერ ვიტყვი, რომ წარმატებული ბიზნესმენი ვარ და ჩემს შესაძლებლობებს სრულად მივაღწიე, რადგან მაქვს უკმარისობის განცდა, მომავლის ფიქრი და სურვილი – ჩემი შესაძლებლობების სრულად გახარჯვისა.

სოფელ ძველში გლეხის ოჯახში დავიბადე და გავიზარდე, ყველა სახის სოფლის მეურნეობის იარაღი – თოხი, ბარი, ცელი, ორთითი, ასევე სამწყემსო ჯოხიც მჭერია ხელში. ახლა არ მიჭირს ამის თქმა, ჩემთვის, პირიქით, საამაყოა, რადგან ბავშვობიდან ვარ შეჩვეული შრომას, რაც ჩვევად ჩამომიყალიბდა. ახლაც ნებისმიერი ფიზიკური შრომის შესრულება შემიძლია.

ბიზნესის განვითარებისა და განსაკუთრებული მხარში დგომისათვის მადლიერი ვარ ჩემი მეუღლის – მანანას მიმართ, მას ყოველთვის სჯეროდა ჩემი, ამომიდგა მხარში და ერთად ვეწევით ამ მძიმე ჯაპანს. ოჯახის წარმატება და თავს დატეხილი ოჯახური სიძნელის გადალახვა ადვილია თუ ცოლ-ქმარი ერთმანეთის მორჩილია.

კომპანიაში ამჟამად 29 თანამშრომელი მუშაობს. მნიშვნელოვნად მადლიერი ვარ ჩემი კოლექტივის მიმართ, რომელთა შრომამ და მათთან ერთად განვლილმა წლებმა მოგვიტანა წარმატება. ბიზნესის განვითარებისთვის ხშირად უზენაესიც მწყალობს.

როდესაც პირველი ნაბიჯი გადავდგი, წარმოდგენა არ მქონდა – რამდენად წარმატებული იქნებოდა ჩვენი ბიზნესი. ყველაზე რთულია დასაწყისი, ახალი გზის გაჭრა, პირველი ფულის შოვნა, შემდეგ კი დაწყებული საქმე შედარებით იოლი და მარტივი ხდება. კარგი დასაწყისი საქმის ნახევარზე მეტია. ხოლო თუ არ იზარმაცებ, ბევრს იმუშავებ და ნაკლებს იწუწუნებ, წარმატებასაც მიაღწევ. გამუდმებით წუწუნი ჯანმრთელობაზეც მოქმედებს. ფულს არ აქვს მნიშვნელობა – ცოტა გაქვს თუ ბევრი. იგი ადამიანისათვის არასოდეს არ არის საკმარისი, იგი ყოველთვის პრობლემაა.

საინტერესოა გავიხსენო ჩემი ბიზნესის ისტორიის ერთი დეტალი: 1997 წელია, რამდენიმე თვის ახალი გახსნილი მაქვს მაღაზია, ის პერიოდია, როდესაც ქვეყანაში ახლად ვითარდებოდა ბიზნესი, მათ შორის საგადასახადო სისტემაც ახლებურად ყალიბდებოდა, შესაბამისად ხშირად იცვლებოდა კანონები და სხვა ნორმატიული აქტები, რომელიც არეგულირებდა მოცემულ საკითხებს. ასევე, კომუნისტური სისტემის დაშლის შემდეგ, როგორც მოსალოდნელი იყო, ქვეყანაში წარმოიშვა კერძო სექტორში საზოგადოებისთვის უცხო, ახალი შრომითი ურთიერთობა, რაც ნიშნავს შრომის პირობებში უფლებამოსილებას დასაქმებულის მიერ დამსაქმებლისთვის სამუშაოს შესრულება-ანაზღურების სანაცვლოდ.

ამ პერიოდში ასპინძაში, კერძო სექტორებში არ იყო დასაქმებული არცერთი ადამიანი, ისინი ძირითადად სახელმწიფო სტრუქტურებში მუშაობდნენ და, ამ დროს, ჩემთან, პირველად, სავაჭრო ობიექტში სამუშაოდ, დამლაგებლად მივიღე ერთი ადამიანი. რაც ზოგიერთისთვის განსჯის საგანი გახდა, ვინ გაიკვირვა, ვინ გამჭორა კიდეც, რომ, თითქოს, ჩემს მეუღლეს ეთაკილებოდა მაღაზიის დაგვა-დასუფთავება და მის ნაცვლად სხვა ადამიანი რატომ უნდა დამესაქმებინა. ამის მოსმენა ჩემთვის მხოლოდ ღიმილის მომგვრელი იყო, არ გამკვირვებია მათი პოზიციაც, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჩვენთვის, ხალხისთვის ხომ ახალი რეალობა და ახალი ცხოვრების წესის დამკვიდრება იწყებოდა, რომელსაც ასე უცებ ვერ გააცნობიერებდი.

თუ დაგცინიან, არა უშავს. ცუდია, როცა დაგტირიან. ბიზნესი დაწყებული ჯერ არ მქონდა, სავაჭრო ობიექტს ვაშენებდი, საჯარო სამსახურში თანამდებობაც მეკავა, თავისუფალ დროს ხელოსნებსაც ვეხმარებოდი, მუშაობის პროცესში ურიკაც მიზიდია. ერთხელ, ბირჟაზე, რამდენიმე ახალგაზრდამ, ჩემზე, ირონიულად, ჩუმად გადაულაპარაკეს ერთმანეთს, – ურიკის მართვის მოწმობა თუ აქვსო. კარგად ვიცნობ მათ. მას შემდეგ 25 წელი გავიდა, ისინი ისევ იქ დგანან. ისევ ისეთებად დარჩნენ, ალბათ მომავალშიც ისეთები იქნებიან, რადგან საკუთარ თავზე მეტად ფული უყვართ, – სძულთ ფულიანი კაცი, ეზიზღებათ გარჯა და ანგარიშიანი ცხოვრება.

ადამიანები ხშირად კითხულობენ, – რით დაიწყონ ბიზნესი. ამ კითხვაზე პასუხი არ არსებობს, ყველა ახალბედას კი ვურჩევ – ყურადღება მიაქციე გასაღების ბაზრის ათვისებას; დაიწყე იმით, რაშიც უკეთესად ერკვევი, რაც მოგწონს და რასაც გულით გააკეთებ, მხოლოდ მაშინ ჩადე კაპიტალი ამ საქმეში. ნუ მიენდობი თაღლითების და ფანტაზიორების უაზრო იდეებსა და წინადადებებს, იოლი გზით დიდი ფულის, მოკლე დროში, შოვნის შემოთავაზების შესახებ, რადგან შეიძლება ყველაფერი წყალში ჩაგეყაროს.

დამწყებ ბიზნესმენებს ასევე ვურჩევ, – საქმე დაიწყოს, მაგრამ, სხვის ჩაძირვაზე არ იოცნებოს, რადგან ბოლოს თვითონ ჩაიძირება. იფიქროს კონკურენტზე მეტი უკეთესის საქმის კეთებაზე. დაანებოს თავი სხვისი საქმეებით დაინტერესებას. უნდა გიხაროდეს კონკურენტის წარმატებისაც, რადგან მარტო შენ და შენი ოჯახი ვერ იქნებით ბედნიერები.

სწორედ რომ დასახო შენი მომავალი ცხოვრების გზა, სხვა წარმატებულ ბიზნესმენთა იდეებს უნდა გაეცნო, თუ ზოგჯერ ჩავარდნა არ გქონდა, ისე ვერ ისწავლი, როგორ მიაღწიო მიზანს. იგივეა, – ბავშვი სიარულს ვერ სწავლობს თუ არ წაიქცა. უნდა ეცადოს თავად რომ წამოდგეს ფეხზე. თუ საკუთარ თავში ყველაფერი მოგწონს, ძალიან ცუდად ყოფილა შენი საქმე, რაც ბევრი რამ არ მოგეწონება, ბევრად უკეთესია შენთვის. მიზნის მისაღწევად ნუ ითაკილებ ნურაფერს და ნუ შეგრცხვება ნებისმიერი შრომის, სირცხვილი ამპარტავნებიდან მოდის. ხოლო, რისი გაკეთებაც გსურდა და ვერ შეძელი, ბევრს ნუ იფიქრებ მასზე. ნუ დაკარგავ დროს, მეტი იფიქრე მხოლოდ პერსპექტივებზე.

თუ გინდა საქმე კარგად გამოგივიდეს, თავადვე გააკეთე. სწორ მენეჯმენტზეა დამოკიდებული ბიზნესში წარმატებების მიღწევა, ილუზიებზე უარი უნდა თქვა. თუ კლიენტის მოტყუება ერთხელ მოახერხე, ეს დროებითია და არ ნიშნავს, რომ ადამიანი სულელია და შენი დაიჯერა, შეიძლება მან არ შეიმჩნიოს ან/და იმაზე მეტად გენდოს, ვიდრე შენ იმსახურებ, მაგრამ შემდეგში ის ვეღარ ირწმუნებს შენსას.

ტყუილს ვერ ვიტან, არ მიყვარს არც ჩემი და არც სხვისგან მოსმენილი ტყუილები, თუმცა ცხოვრებაში ვერასოდეს გაექცევი მას. პირველი აპრილიც ხომ იმიტომაა, რომ ადამიანებს თავი შეახსენოს. როდესაც მატყუებენ, ხშირად არც მე ვიმჩნევ. თუ საქმეს არ ავნებს, მეც მითქვამს ზომიერი, თუმცა უფრო ხანგრძლივი მომზადების შემდეგ. თუ არ გსურს იცრუო ან/და სიმართლე თქვა, ის მაინც უნდა შეგეძლოს თქვა – „არ ვიცი“! ერთ ტყუილს სხვა მრავალი ტყუილი მოჰყვება რომ პირველი სიცრუე გაამართლოს. მატყუარას შენი სიმართლისაც არ ჯერა, არ ეცადო გადათქმევინებას, არც ეკამათოთ, სულ ერთია, ვერ გაიმარჯვებ, რადგან მას საკუთარი ტყუილების სჯერა და ცუდს ვერაფერს ხედავს მასში, შენ მას ვერ გამოასწორებ, რადგან მათ ჩვევად უყალიბდებათ და არ იცვლებიან.

ბიზნესისთვის ნისია გარკვეული სირთულეების წინაშე აყენებს ყველას, მაგრამ მისი გაცემა, მართლმადიდებლური წესით, კეთილშობილური საქმეა. გააჩნია სანდოობის ხარისხსაც, ადამიანის თუ გჯერა, მისი გწამს და გასცემ, გიხარია, გსიამოვნებს, რომ, ამით, თუნდაც, ძალიან მცირედითაც მაინც დაეხმარე. მაგრამ ვინც არ გიბრუნებს, ცოდვას ჩადის და უნდობლობას სხვის მიმართაც გიჩენს. ასეთებს კი მივმართავ, რომ ასპინძაში თითქმის ყველა ერთმანეთის ახლობელი, შინაური და მეზობელია, სესხის/ნისიის მოთხოვნაზე იშვიათად გეტყვიან უარს, მაგრამ თუ მიზნად, ცხოვრების წესად გექცა, – ცხოვრების მანძილზე ვალები აიღო და არ გადაიხადო, შენთვისაა ცუდი. ამით სხვას მართლა ვერ ავნებ, მხოლოდ საკუთარ თავს დააზიანებ. ამის გამო ნუ გაიტეხ სახელს, შენს საქციელს ვერავინ დაივიწყებს, ქართული ანდაზისა არ იყოს, – უკეთესია თავი გაგიტყდეს, ვიდრე სახელი!

მთელი ცხოვრებაა ვცდილობ ხალხისთვის სარგებლის მოტანას, მაგრამ ყოველთვის ისეთი ვერ ვიქნები, როგორიც მინდა რომ ვიყო. ადამიანმა სიკეთე თუ არ აკეთე, გაგიჭირდება ცხოვრება.

ბიზნესს ნანას კი არ უნდა ვუმღეროდეთ, არამედ მეტ სიფხიზლეს უნდა ვიჩენდეთ. ბიზნესი მუდმივად უნდა ვიყოლიოთ საბრძოლი მზადყოფნაში, რადგან ზოგჯერ კონკურენტი ან/და დაინტერესებული პირი ცდილობს თავდასხმას. თუ მშიშარა ხარ, უზენაესი ვერ გიშველის, რადგან ცალხელა ხარ, კუთხეში მიმწყვდეული. ლამაზი ცოლის პატრონივით მოიქეცი, იფხიზლე და ეზოში იყოლიე ავი ძაღლი. ბიზნესში ზოგჯერ პრობლემებიც არსებობს. ასე მაგალითად: თუ ბოროტმა ძალებმა შეგხედეს, რომ მათთვის არასასურველ ზღვარს გასცდი და მცირედით მაინც წაიწიე წინ, არ მოეწონები. ფრთხილად უნდა იყო და მოემზადო თავდამსხმელთა მხრიდან თავდაცვისათვის. ასეთ მდგომარეობაში მეც აღმოვჩნდი, ყოფილი რეჟიმის დროს:

2008 წლის დეკემბერში, იმ განუკითხაობის ხანაში, როდესაც ბიზნესი მართლა საჭიროებდა ხელშეწყობას, სამწუხაროდ უდიდესი წნეხი განვიცადე და ჩანასახშივე იძირებოდა ჩემი ბიზნესი. უხერხულია დღეს იმ პიროვნებებზე საუბარი, მათი სახელების ამოტივტივება და მათზე ყურადღების გადატანა, რომლებიც ყველაფერს აკეთებდნენ სხვისი ბიზნესის ჩაძირვისა თუ გაკოტრებისათვის. როგორც ვთქვი, ეს საშინელი წნეხი საკუთარ თავზე მეც ვიწვნიე, როდესაც საგადასახადო შემოწმების უსამართლო ქმედებით შპს „ძველს“ გადასახდელად დაერიცხა სოლიდური სანქცია. რაც იმჟამინდელი საგადასახადო სისტემის მესვეურთა ინტერესებიდან გამომდინარეობდა.

შპს „ძველის“ საგადასახადო შემოწმებები, რომელსაც საგადასახადო ტერორს ვუწოდებ, 2009 წლამდე გაგრძელდა, რაც ჯარიმებსა და საურავებშიც აისახა. ყველა მათგანი გავასაჩივრე შესაბამის ზემდგომ ინსტანციებში, ცხრა გზის საგადასახადო დავა მქონდა, საბედნიეროდ ცხრავე პირწმინდად მოვიგე, წართმეული თანხებიც და სასამართლოებში გადახდილი სახელმწიფო ბაჟიც სრულად ამინაზღაურდა, მათგან ერთი მოგებული დავის საკითხის მცირედი ნაწილი დარჩა მოსაგვარებული, რომელიც უზენაეს სასამართლოშია გასაჩივრებული ფინანსთა სამინისტროს და შემოსავლების სამსახურის მიერ, რადგან არც ისინი ეთანხმებიან ქვემდგომი სასამართლოების გადაწყვეტილებას. განა ღირდა კი ასეთი აურზაურის შექმნა? რა პირით უყურებენ მსგავს დაზარალებულებს საქმის გამყალბებლები?

მკითხველო, ამით არ ამოიწურა ყველაფერი, შპს „ძველს” შემდეგი, მორიგი უსამართლო საგადასახადო შემოწმებით 2014 წელს გაორმაგებული სანქცია დაეკისრა, რაც ასევე დავის საგანი გახდა. ახლა უკვე, როგორც საგადასახადო დავებში გაწვრთნილმა პრაქტიკოსმა, მოცემული დავის ძირითადი საკითხებიც მოვიგე, ხოლო ფინანსთა სამინისტროს სისტემა ამჟამად, ჩვეულებისამებრ, არც ამ გადაწყვეტილებებს ეთანხმება და საკასაციო საჩივარი შეტანილი აქვს უზენაეს სასამართლოში.

პირველი დავის დაწყებიდან (2009) დღემდე 13 წელი გავიდა, ხანგრძლივი დავის მიუხედავად, მაინც გამიძნელდა სრულად სამართალის მოპოვება.

დავის დროს კი დიდი ფინანსები, დაძაბული შრომა, ენერგია და დრო იხარჯება. ბიზნესისთვის დრო ფულია, ფული კი მნიშვნელოვანი აქტივია.

რა დასამალია და ახალი ხელისუფლების პირობებში საგრძნობლად შემცირდა გადაჭარბებული საგადასახადო შემოწმებები, პრიორიტეტული გახდა ბიზნესის გაძლიერება და მისი ინტერესების დაცვა, ასევე გარკვეული ხაზით შემცირდა გადასახადებიც, სამართალდარღვევებზე – ჯარიმებიც, განთავისუფლდა წნეხისაგან და შეუმსუბუქდა საგადასახადო ტვირთი, ეს კი ბევრ რამეზე მიუთითებს.

მაღალმთიანი სოფლების განვითარების მიზნით ქვეყანაში ბევრი სასიკეთო პროცესები მიმდინარეობს, რაც კეთდება, სხვებთან ერთად, ჩვენი მუნიციპალიტეტის მაგალითზეც კარგად ჩანს და, ცხადია, დაწესებული საგადასახადო შეღავათები მნიშვნელოვან როლს თამაშობს მეწარმე სუბიექტთა გასაძლიერებლად.

და ბოლოს — „კოვიდ-19-ის” პანდემიამ მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ბიზნეს სექტორსაც, რაც ქვეყნის ეკონომიკურ მაჩვენებელზე მკვეთრად აისახა. მოცემული პრობლემის გადაწყვეტაში ნუ მოვთხოვთ ყველაფერს მხოლოდ სპეცსამსახურებს და ხელისუფლებას, ლომის წილი პასუხისმგებლობა ხომ საზოგადოებას ეკისრება. მიმაჩნია, რომ მაღალი აქტივობა მართებს როგორც ბიზნესმენებს, ასევე თითოეულ რიგით მოქალაქეს, რომელთა ვალია მოსალოდნელი საფრთხეების წინააღმდეგ გაილაშქრონ, აქტიურად დაიცვან შესაბამისი რეგულაციები, რაც პანდემიის დამარცხების გარანტი იქნება.

გიორგი ზედგინიძე,
ბიზნესმენი

საერთაშორისო ფესტივალში გამარჯვებული

მსოფლიო ისტორიას დიდი ომების გარდა ახსოვს დიდი ეპიდემიები, რომლებიც ხშირად ომის მსხვერპლთა რაოდენობას ბევრად აღემატებოდა და მოსახლეობის გენოფონდს ანადგურებდა. მაგრამ კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე ადამიანები მაინც ახერხებდნენ ამ უბედურებებისაგან თავის დაღწევას. ამით არც მეოცე საუკუნის 20-იანი წლები ყოფილა გამონაკლისი, რომელმაც ე.წ. „ესპანკას“ ეპიდემიით მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ახლაც, XXI საუკუნის ცივილიზაციის განვითარების ამ უმაღლეს ეპოქაშიც კი, როცა ლამისაა დავიპყორით სხვა პლანეტებიც, ორი ნელია მსოფლიო მედიცინა „კოვიდ-19-ის“ პანდემიას ებრძვის და საიმედო შედეგები მაინც არა დამდგარა, რამაც შეარყია მსოფლიო ეკონომიკა; განათლების, კულტურისა და სპორტის განვითარებას განსაკუთრებული დაღი დაასვა და კატასტროფის წინაშე დააყენა ასევე მსოფლიო მასშტაბით ტურიზმი, რაც არაერთი ქვეყნის საბიუჯეტო შემოსავლის მთავარი წყაროა.

არც საქართველოა გამონაკლისი, რომელმაც, პანდემიის გამო, განსაკუთრებული ზარალი განიცადა როგორც ეკონომიურად სუსტმა ქვეყანამ. ეკონომიური კრიზისი ბევრწილად ხომ განსაკუთრებულმა შეზღუდვებმაც გამოიწვია, რომლის გაუთვალისწინებლობა, ვინ იცის, კიდევ რითი დამთავრდებოდა.

რაოდენ სასიხარულოა, რომ მკაცრი შეზღუდვების მოხსნის შემდეგ, ქართულ ეკონომიკამაც ნელ-ნელა იწყო აღმავლობა, ასევე კულტურის სხვადასხვა სფეროსაც შეეტყო გამოცოცხლება და იმედის ნაპერწკალი ჩაისახა. რეგულაციების მკაცრი დაცვით თითქმის ყველგან იმართება კულტურული ღონისძიებები. საგულისხმოა, რომ მოსწავლე-ახალგაზრდობის აქტიური ჩართულობით დაიწყო ოლიმპიადებისა და ფესტივალების ჩატარება. სასიხარულოა, რომ ასპინძის მუნიციპალიტეტშიც ბოლო რამდენიმე თვეა ამ მიმართებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. განსაკუთრებით გააქტიურდა რესპუბლიკურ ღონისძიებებში კულტურის ცენტრთან არსებული ანსამბლების მონაწილეობაც, კერძოდ:

ამა წლის 3-4 ივლისს ქ. ქობულეთში ჩატარდა «ბათუმის III საერთაშორისო ფოლკლორული ფესტივალი," სადაც ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი "სამცხეც" გაემგზავრა მონაწილეობის მისაღებად. 5 დღიანი ტურნირის დაწყების წინ, ახლადმშენებარე ასპინძის სულთმოფენობის სახელობის ტაძარში მამა დავითმა ანსამბლის მოცეკვავეები დალოცა და წარმატებები უსურვა.

როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, ასპინძის კულტურის ცენტრთან არსებული ბავშვთა ქორეოგრაფიული და ფოლკლორული ანსამბლები არაერთხელ გამოსულან როგორც რეგიონული, ასევე რესპუბლიკური მასშტაბით გამართულ ფესტივალებში და არაერთი წარმატებაც მოუპოვებიათ, მუნიციპალიტეტში კი მათ გარეშე არ ჩატარებულა არცერთი მასობრივი ღონისძიება, რაც კულტურის ცენტრის ხელმძღვანელთა მაღალ პროფესიულ დონეზე მიუთითებს.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, აღნიშნულ ფესტივალში წარმატებული გამოდგა ასპინძის კულტურის ცენტრთან არსებული ანსამბლის მონაწილეობა. ამასთან დაკავშირებით ვთხოვეთ ამ ცენტრის დირექტორს ჯაბა ასპანიძეს უფრო დეტალურად გვიამბოს ამ ფესტივალთან დაკავშირებით.

ჯაბა ასპანიძე :

– ფესტივალში მონაწილეობას ღებულობდა 24 ანსამბლი, როგორც საქართველოს ყველა კუთხიდან, ასევე სხვა და სხვა ქვეყნებიდანაც, თავდაპირველად 3 ივლისს ჩატარდა შესარჩევი კონკურსი, სადაც აუცილებელი იყო იმდენი ქულის დაგროვება, რომ 4 ივლისს საფინალო კონკურსში მიგვეღო მონაწილეობა. თავიდანვე დიდი გამოცდის წინაშე დავდექით, რადგან ფესტივალში მონაწილეთა უმრავლესობა პროფესიული დონითაც გამოირჩეოდა და მრავალი ჯილდოს მფლობელებიც იყვნენ. თუმცა, ჩვენც, მსგავს გამოწვევებს შეჩვეულები ვართ და არც ამჯერად შეგვირცხვენია თავი. კმაყოფილებით უნდა აღვნიშნო, რომ ძალიან გვასახელეს ქორეოგრაფიულ ანსამბლ „სამცხის“ მოცეკვავეებმა და უპრობლემოდ მოიპოვეს მეორე ტურში გადასვლის უფლება. ჭეშმარიტად დამსახურებული პირველი ადგილი მოგვილოცა ორგანიზატორმა და შევეცადეთ ორი ცეკვით მიგვეღწია წარმატებისათვის. 3 ივლისს გამართულ შესარჩევ კონკურსში ანსამბლის მოცეკვავეებმა იცეკვეს „აფხაზური“, რომლებმაც ისე შეასრულეს, რომ ჟიურის წევრებისა და დამსწრე საზოგადოების აღტაცება გამოიწვია და ხანგრძივი ოვაციებით დააჯილდოვეს ისინი.

საფინალო კონკურსზე მაყურებლის წინაშე ცეკვა „მთიულურით“ წარვსდექით. აქაც, ჩვენდა საბედნიეროდ, ისეთ წარმატებას მივაღწიეთ, რომ მქუხარე, ხანგრძივი აპლოდისმენტები დავიმსახურეთ, – ეს უკვე გამარჯვების საწინდარი იყო.

რა თქმა უნდა, ჩვენი დიდი წარმატება და ფესტივალზე ქორეოგრაფიულ ანსამბლ „სამცხეს“ აღიარება მიღწეული იქნა თითოეული ჩვენთაგანის დაუღალავი, ენერგიული შრომის შედეგად. ეს ერთი დღის მონაგარი არ ყოფილა. ალბათ, რომ არ გვქონოდა მოცეკვეთა მშობლების ერთსულოვანი მხარდაჭერა (მათი ხარჯით მოგვიწია ფესტივალზე გამგზავრება), არც ეს წარმატება იქნებოდა მოპოვებილი. ცხადია, ფესტივალზე ჩვენი ანსამბლის გაგზავნის ორგანიზება, როგორც ვთქვი, მშობელთა ხარჯით მოხდა, მაგრამ საჭიროებამ მოითხოვა ფესტივალზე მონაწილეთა რაოდენობის გაზრდა, რაც დამატებით ხარჯებს საჭიროებდა, ეს კი არც თუ ისე მცირე ხარჯებთან იყო დაკავშირებული, რის გამოც შევეცადეთ დამატებითი სახსრების მოძიებას და, მადლობა ღმერთს, გარჯამ შედეგი აქაც გამოიღო.

მინდა ჩვენი გაზეთის მკითხველს ვაუწყო და დიდი მადლიერება გამოვხატო მათ მიმართ, ვინც ამ მხრივ გაგვიწია დიდი დახმარება და მიღწეული წარმატება მათ დამსახურებადაც მიმაჩნია. დასამალი არაა, რომ მძიმე ეკონომიური მდგომარეობის გამო ანსამბლის მონაწილეთა ერთი ნაწილი ამ ფესტივალში მონაწილეობას ვერ ღებულობდა უსახსრობის გამო, არადა, ისინი შესანიშნავ მოცეკვავეებად ითვლებიან და მათი დასაფინანსებელი სახსრების მოძიების მიზნით სოციალურ ქსელში გავავრცელეთ ინფორმაცია დახმარების თხოვნით, რათა გაეწიათ მათთვის სპონსორობა, რასაც, ჩვენდა სასიხარულოდ, ოპერატიული გამოხმაურება მოჰყვა – დაგვიკავშირდა რამდენიმე პიროვნება და გამოთქვა სურვილი თავიანთი წვლილი შეეტანათ ამ მეტად კეთილშობილურ საქმეში. და აი: დაბა ასპინძაში, რესტორან „კოხტას" მეპატრონემ ალექსანდრე მაისურაძემ, სამშენებლო-სამეურნეო მაღაზიის მეპატრონეებმა **იოსებ მიქელაძემ** და **ალბერტ ჯვარიძემ,** ასპინძელმა ემიგრანტებმა ამერიკაში **დიმიტრი ლეკიშვილმა** და **თეიმურაზ ელიზბარაშვილმა**, სპონსორობა გაუწიეს მათ და ანსამბლის სრული შემადგენლობით გამგზავრებაც შედგა. ეს იყო ჩვენთვის უდიდესი მხარდაჭერა, რამაც, როგორც ვთქვი, ჩვენი წარმატება განაპირობა.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და კულტურის ცენტრისა და ანსამბლ „სამცხის“ თითოეული წევრის სახელით მადლობა გადავუხადო მათ ამ დიდი ქველმოქმედებისათვის. იმედია მსგავს კეთილშობილურ საქმეს მიმდევრებიც გამოუჩნდებიან და მომავალში ანალოგიურ საქველმოქმედო აქციებში მიიღებენ აქტიურ მონაწილეობას. ჭეშმარიტად უთქვამს რუსთაველს: „რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია“! ანსამბლ „სამცხის“ გამარჯვება და პირველი ადგილის მოპოვება ხომ თითოეული ასპინძელის გამარჯვებაა!

აქვე მინდა კვლავ დიდი მადლობა გადავუხადო მამა დავითს, რომლის ლოცვით მშვიდობით და წარმატებით დავუბრუნდით საკუთარ კერიას.

P.S. გაზეთ „ასპინძის სიახლენის“ რედკოლეგია სულითა და გულით ულოცავს დამსახურებულ წარმატებას ანსამბლ „სამცხეს“ და უსურვებს ახალ-ახალ წარმატებებს მომავალ რესპუბლიკურ თუ საერთაშორისო ფესტივალებში.

მასალა მოამზადა
ავთანდილ მესხმა

სპორტი

ამჯერადაც წარმატებით იასპარეზეს

ამა წლის 10-11 ივლისს ქალაქ თბილისში გაიმართა საქართველოს ახალგაზრდული ჩემპიონატი მძლეოსნობაში, რომელშიც მონაწილეობდა რესპუბლიკის 15 ქალაქი და რაიონი, მათ შორის – ა. ა. იპ-ი ასპინძის გაერთიანებული კლუბი და წარმატებითაც იასპარეზეს.

1500 მეტრ რბენაში I ადგილი გიორგი ნადირაძემ დაიკავა და საქართველოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა (2005 წელს დაბადებულებში); მეორე ადგილი – 1500 მეტრ რბენაში – ლუკა მელიქიძემ მოიპოვა (იმავე კატეგორიაში), ასევე ანი დავლაშერიძემ გოგონათა შორის მეორე ადგილი (5000 მეტრ რბენაში) დაიკავა 2007 წელს დაბადებულებში.

ფოლკლორი

ჰარმები

ძველათ, თათრობის დროს, ხალხს აოხრებდნენ. თათრები საყაჩაღოთ დადიოდნენ სოფლებში. იმათ ძველეულათ ჰარმებს ეძახდნენ. იმათ უფროს ეძახდნენ ჰარამიბაშს. მე ერთ დროს ერკოტაში ვიყავი. იქ გვიამბობდნენ, რო ერკოტის ტყეში მოდიოდნენ ეგ ჰარმები. სოფელშიც მოვიდოდნენ, ჩასახლდებოდნენ პარტიებათ, სადამდისაც უნდოდათ, სვამდნენ, შჭამდნენ და წავიდოდნენო. ერკოტელებს ყავდათ ცხვარი. ერთი უბნის ცხვარი თუ მეორე უბანში გადავიდოდა, აქ მდგომი ჰარმები დაიჭერდნენ და დაჰკლავდნენო. მაშინ გლეხები საჩივლელათ მივიდოდნენ თავის უბნის ჰარმებთან და ეტყოდნენ ცხვრის ამბავს. ესენიც ასე ანუგეშებდნენ: თქვენ ნუ გეშინიათ, როცა იმათი ცხვარიც გამოივლის ჩვენკენ, ჩვენ ორს დავკლამთ და შევჭამთო.

მთქმელი იროდიონ ანანიაშვილი, ახალქალაქის რაიონის სოფ. კოთელია. ჩაიწერა ილია მაისურაძემ ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, N3100, 1947 წლის 14 აგვისტოს ექსპედიციის მასალები. გვ. 36

ინფორმაციები მოგვაწოდა ასპინძის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო განყოფილების უფროსმა ეკა კალაიჯიშვილმა

რედკოლეგია